მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

2011 წლის 3 ივნისი

ქ. მცხეთა

მოქალაქე ელენე კაპანაძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ მცხეთაში, მამულაშვილის ქ. №18-ში მდებარე 200 კვ.მ. da 500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემოსულია მომართვით, რომელშიც აღნიშნულია: ქალაქ მცხეთაში, მამულაშვილის ქ. №18-ში მცხოვრებ მოქ. ელენე კაპანაძის კერძო საკუთრებაში არსებულ, ქალაქ მცხეთაში მდებარე 200 კვ.მ. (ს.კ. # 72.07.06.343) და 500 კვ.მ. (ს.კ. №72.07.06.327) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ქ. მცხეთის ისტორიული უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით მოეწყო ავტომანქანების სავალი გზა. გამომდინარე აქედან, მესაკუთრე ელენე კაპანაძე ითხოვს მიწის ნაკვეთის მონაცვლეობას.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეარჩია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ მცხეთაში მდებარე 450 კვ.მ. (ს.კ. №72.07.06.341) და 550 კვ.მ. (ს.კ. №72.07.06.342) თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და შესთავაზა ელენე კაპანაძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა. აღნიშნულიდან გამომდინარე,

1. გამოეყოს ქ. მცხეთაში, მამულაშვილის ქ. №18-ში მცხოვრებ მოქალაქე ელენე კაპანაძეს (პირადი №31001004202), მის საკუთრებაში არსებული ქალაქ მცხეთაში, მამულაშვილის ქ. №18-ში მდებარე 200 კვ.მ. (ს.კ. №72.07.06.343) და 500 კვ.მ. (ს.კ. №72.07.06.327) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში მდებარე 450 კვ.მ. (ს.კ. № 72.07.06.341) 550 კვ.მ. (ს.კ. №72.07.06.342) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17.

საკრებულოს თავმჯდომარე ანდრო კალანდაძე